



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2019 წლის 22 ივლისის  
№01-05-04/178 დადგენილებით

მოდულიზებულია  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2021 წლის 26 ნოემბრის  
№01-05-04/174 დადგენილებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

გრაფიკული დიზაინის შესრულება

მის: ქ. თბილისი, სტუ-ს I კორპუსი, მ. კოსტავას ქ. 71  
პროგრამის ხელმძღვანელი: თეა ბარამაშვილი  
[baramashvili.t@gtu.ge](mailto:baramashvili.t@gtu.ge)  
551 611 611

თბილისი, 2021 წ.



1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა - ციფრული ხელოვნება / **Digital Art**
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: 02122-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში / Secondary Vocational Qualification in Digital Art. (კვალიფიკაციის კოდი: 0211)
4. მიზანი:  
პროფესიული პროგრამის მიზანია, მოამზადოს ციფრული ხელოვნების სფეროსთვის კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები.
5. დაშვების წინაპირობები:  
სრული ზოგადი განათლება
6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:  
ციფრულ ხელოვნებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი, ვინც გაივლის „გრაფიკული დიზაინის შესრულებს“ კონცენტრაციას, შესაძლოა დასაქმდეს გამომცემლობებში, პოლიგრაფიულ საწარმოებში, ციფრულ სტამბებში, ფართოფორმატიანი ბეჭდვის საწარმოებში, სარეკლამო კომპანიებში დამკაზადონების, გრაფიკოს-დამკაზადონების, ტექნიკური დიზაინერის თანამდებობაზე. ასევე შეეძლება მუშაობა დიზაინერ-დამკაზადონების ან/და გრაფიკული დიზაინერის თანაშემწედ. ის შეიძლება დასაქმდეს ბეჭდვის წინა მოსამზადებელი პროცესების ტექნიკოსად ისეთ საწარმოებში, სადაც გამოიცემა წიგნები, პერიოდული პუბლიკაციები და ხორციელდება სხვა საგამომცემლო საქმიანობები.
  - ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 18.14; 18.14.0; 18.13.; 18.13.0;
  - დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3121; 7322; 7323
7. სტრუქტურა და მოდულები:  
„გრაფიკული დიზაინის შესრულები“-ს საშუალო საფეხურის კვალიფიკაციისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 90 კრედიტი, რომელთაგან 15 კრედიტი არის 5 ზოგადი მოდული, 31 კრედიტი არის 7 საერთო პროფესიული მოდული, 44 კრედიტი 9 პროფესიული მოდული.  
მოდულის, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების



დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 90 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 69 კვირა
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 91 კვირა

ზოგადი მოდულები		
მოდულის დასახელება		
		კრედიტი
01	ქართული ენა A2	15
02	ქართული ენა B1	15
სულ		30
ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	მეწარმეობა 2	2
2	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
5	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	5
სულ		15
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
6	გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება	1
7	რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 1	5
8	რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 2	7
9	ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator)	6
სულ		19
ციფრული ხელოვნების საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
10	მარკეტინგული კომუნიკაციების საფუძვლები	1
11	დაზგა-დანადგარებთან მუშაობა	4
12	კომპოზიციის შექმნა	7
სულ		12
კონცენტრაცია - გრაფიკული დიზაინის შესრულება - მოდულები		



მოდულის დასახელება		კრედიტი
13	დარგობრივი ინგლისური ენა კომპიუტერულ გრაფიკაში	2
14	ვექტორული გამოსახულების შექმნა და დამუშავება - Corel DRAW	6
15	ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციის მაკეტის შექმნა	9
16	დამხმარე ვიზუალური მასალის მომზადება	5
17	დოკუმენტის დასაბეჭდად მომზადება	2
18	PDF დოკუმენტის დამუშავება (Adobe Acrobat DC Pro)	2
19	ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება	6
20	ინტერაქტიური PDF ფაილის და ელექტრონული წიგნების მომზადება	7
21	პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიზაინის შესრულებისათვის	5
<b>სულ</b>		<b>44</b>

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

სრული საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკული დიზაინის შესრულებისთვის პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. შექმნას/რედაქტირება გაუკეთოს მარტივ გამოსახულებას;
2. იმუშაოს ტექსტებთან;
3. შექმნას/დაამუშაოს ვექტორული ობიექტები;
4. კორექცია გაუკეთოს რასტრული გამოსახულების (სურათის) ფერსა და ტონალობას;
5. გააკეთოს რასტრული გამოსახულების (სურათის) რეტუში;
6. დაამუშაოს გამოსახულება ფილტრების და ნიღბების გამოყენებით;
7. შექმნას GIF ანიმაცია;
8. შექმნას/რედაქტირება და ტრანსფორმაცია გაუკეთოს ვექტორულ ობიექტებს;
9. მოამზადოს დოკუმენტი ბეჭდვისა და ლაზერული ჭრისთვის;
10. შექმნას/დაამუშაოს/შეინახოს მაკეტი;
11. იმუშაოს წიგნის (book) ფაილთან, ასევე შექმნას გრაფიკული ჩარჩო და ფორმები;
12. შექმნას/განალაგოს მაკეტში ობიექტების სტრუქტურა, მოახდინოს დოკუმენტის ექსპორტირება ბეჭდვა შესაბამის ფორმატში და შექმნას/დაარედაქტიროს PDF დოკუმენტი;
13. მიიღოს დასამზადებელი ნაბეჭდი პროდუქციის ელექტრონული მაკეტი და დაამზადოს საბეჭდი ფორმა;
14. დაამატოს ტექსტზე ბმულები, ინტერაქტიური სანიშნეები, ჰიპერკავშირები და სანავიგაციო ღილაკები;
15. იმუშაოს ლაზერულ მჭრელებსა და სამგანზომილებიან პრინტერებთან.



9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს ჩარჩო დოკუმენტის „ციფრული ხელოვნება / Digital Art“ საფუძველზე შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინის შესრულება“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენის კომპეტენციის შეფასების მიდგომებს.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:



### მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

### მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

### 11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრეროგატივაა. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

### 12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

### 13. პროგრამის განხორციელების ადგილი:

პროგრამა განხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I კორპუსში (ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N68) და „ფაუნტინ ჯორჯია“-ს (ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი N64) საწარმოს ბაზაზე.



- დანართი 1. სასწავლო გეგმა, პროგრამის განმახორციელებელთა სია, პროგრამა, მოდულები, ადამიანური რესურსი, სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი, ხელშეკრულება;
- დანართი 2. პროგრამის დამტკიცების აქტი;
- დანართი 3. მიზანშეწონილება;
- დანართი 4. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა;
- დანართი 5. პროგრამის დამატების საფასურის გადახდის ქვითარი;
- დანართი 6. სხვა დოკუმენტები.

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

თეა ბარამაშვილი

სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი *ნ. ბუთხუზი* ნათია ბუთხუზი

ფაკულტეტის დეკანი

ოთარ გელაშვილი

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

დავით მახვილაძე

**მიღებულია**

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ოქმი №7  
12.07.2019წ.



**მოდირებულია**

სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ოქმი N9,  
26. 10.2021 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი